სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

85667331411411

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N11648936

რეგისტრაციის თარიღი

25.06.2011 წ

ნოტარიუსი: ქეთევან გრიგოლია
მისამართი: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული
ტელეფონი: 893 127322

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თერთმეტი წლის ოცდახუთ ივნისს მე, ქეთევან გრიგოლიას ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. 45 მე-3 სართულზე, მომმართა, მოქ. **ლარისა სარიამ**, რომელმაც განაცხადა, რომ სურს **რომეო სარიასთვის** უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი გარიგების შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მოქ. **ლარისა სარიას** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა მოქ. **ლარისა სარიამ** (დაბ. 13.09.1959წ. ზუგდიდში, პირ. მოწმობის №დ1437648, პირ. №01007000386, გაც. 14.06.2011წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილის სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი ირ. ევდოშვილის ქ. №19/5, ბინა 16).

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. დავადგინე გარიგების შინაარსი და შევადგინე წინამდებარე მინდობილობა.

მე ნოტარიუსმა, ქეთევან გრიგოლიამ წავუკითხე მოქ. **ლარისა სარიას**. მინდობილობა და განვუმარტე მისი შინაარსი, აგრეთვე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც მან განაცხადა, რომ გარიგება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, წაიკითხა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის ოცდახუთ ივნისს მოქ. **ლარისა სარიამ** (დაბ. 13.09.1959წ. ზუგდიდში, პირ. მოწმობის №დ1437648, პირ. №01007000386, გაც. 14.06.2011წ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძველი თბილის სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი ირ. ევდოშვილის ქ. №19/5, ბინა 16), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „საკუთრების მიმნდობი“, მოქ. **რომეო სარიას** (დაბ. 01.01.1979წ. ვალენჯიხაში, პირ. მოწმობის №ა0853164, პირ. №51001000417, გაც. 12.01.2006წ. ქ. თბილისის დიდუბის საპასპორტიო მრ და სარ სამსახურის მიერ, მცხ. ქ. თბილისი წყალტუბოს ქ. კორპ. 3, ბინა 3), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი მესაკუთრე“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **რომეო სარია** უფლებამოსილია მართოს და განკარგოს **ლარისა სარიას** საკუთრებაში არსებული 245 კვ.მ. ფართი საცხოვრებელი ბინა მდებარე: **ქალაქი თბილისი, ქუჩა ბულაჩაური, №8, სადარბაზო 1, სართული 1, ბინა №1ა (მშენებარე), საკადასტრო კოდი №01.10.13.018.012.04.01.001ა**, თავის თავთან გარიგების დადების უფლებით. „მინდობილი მესაკუთრე“ უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ დაადგინოს უძრავი ქონების მართვის და განკარგვის (გაყიდვის, ჩუქების, გაცვლის, გაქირავების, იჯარით გაცემის, იპოთეკით დატვირთვის, იპოთეკის გაუქმების) პირობები, მათ შორის გარიგების ფასი, ხელი მოაწეროს ნასყიდობის, ჩუქების, გაცვლის, ქირავნობის, იჯარის, იპოთეკის, იპოთეკის გაუქმების ხელშეკრულებებს. **რომეო სარია** უფლებამოსილია განსაზღვროს სესხის თანხა, მიიღოს სესხი, მიიღოს და გასცეს ნებისმიერი თანხა, რაც დაკავშირებულია უძრავი ქონების მართვის, განკარგვის და შესაბამისი უფლების რეალიზაციასთან. ამასთანავე **რომეო სარია** უფლებამოსილია „საკუთრების მიმნდობი“-ს სახელით მიიღოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერი, შეკრიბოს ყველა ცნობა და საბუთი, რაც საჭიროა უძრავი ქონების მართვის, განკარგვის და შესაბამისი ხელშეკრულების რეგისტრაციასთან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უფლებამოსილია გააკეთოს აზომვითი ნახაზი, მიიღოს ამონაწერი, უფლებამოსილია იყოს წარმომადგენელი მერიაში, მერიის ზედამხედველობის სამსახურში, გამგეობაში, არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, სანოტარო ბიუროში, ბანკში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებსა და დაწესებულებებში, აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, გადაიხადოს გადასახადები, მოსაკრებელი, ბაჟი, ყველა სახის გადასახადი, წარადგინოს განცხადებები, ცნობები, საბუთები, მიიღოს ცნობები, საბუთები, დადოს, შეცვალოს, გააუქმოს ხელშეკრულებები და ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს, ხელი მოაწეროს საჭირო საბუთებს, შეასრულოს კანონით დადგენილი ყველა პროცედურა და მოქმედება, რაც საჭიროა მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

2. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

3. „საკუთრების მიმნდობი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ეს მინდობილობა, რისთვისაც საჭიროა გარიგების სანოტარო წესით გაუქმება. გაუქმების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე „მინდობილი მესაკუთრე“ ვალდებულია დაუყონებლივ შეწყვიტოს უძრავი ქონების მართვასა და განკარგვასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედების შესრულება და ამ მინდობილობის მის ხელთარსებული ყველა ეგზემპლარი დაუბრუნოს „საკუთრების მიმნდობს“.

4. ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროს ნოტარიუსის ქეთევან გრიგოლიას საქმეებში, ხოლო ორი გადაეცა „საკუთრების მიმნდობს“.

5. „მინდობილ მესაკუთრეს“ უფლება აქვს ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები თავისი შეხედულებისამებრ მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს.

ნოტარიუსის საზღაური:
სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი 11 ივნისი 1998 წ. №1417 მუხლი 29,7 – 31.1, პუნქტი 1 – თორმეტი ლარი.